



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება
მოდული: ფინანსები და საბანკო საქმე

ტიტე ნიკოლაძე

არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების ფუნქციონირების თავისებურებები საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გელა წიკლაური
აკადემიური დოქტორი
მოწვეული პედაგოგი

თბილისი

2020

ანოტაცია

არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების ფუნქციონირების თავისებურებები საქართველოში

ტიტე ნიკოლაძე

თანამედროვე ეკონომიკაში არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები ფინანსურ სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. მათი ფუნქციონირება ეხმარება ეკონომიკის განვითარებასა და სტაბილურობას. ისინი ფინანსური შუამავლობის სახეობის ტიპს წარმოადგენენ და კომერციული ბანკების ალტერნატივა არიან. არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციები სასესხო კაპიტალის ბაზრის მონაწილენი არიან და მათი საქმიანობის სრულყოფა, ფინანსური სისტემის გაუმჯობესებასა და მდგრადობას უწყობს ხელს. არასაბანკო სექტორის საქმიანობისა და რეგულირების საკითხი ქართულ რეალობაშიც აქტუალურია.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავალის, ტექსტის ძირითადი ნაწილის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან. შესავალ ნაწილში განხილულია თემის აქტუალობის დასაბუთება, ნაშრომის მიზანი და ამოცანები, საკვლევი საგნის ობიექტის ფორმულირება, კვლევისთვის გამოყენებული მეთოდები და კვლევის სიახლეები.

პირველ თავში - არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების ძირითადი მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე, განხილულია მისი ისტორიული და თანამედროვე თეორიები საკრედიტო ბაზარზე. მეორე თავში - მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მოცემულია მისოს როგორც მთავარი არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტის საქმიანობის მიმოხილვა, წარმატებული ქართული კომპანიები და მათი განვითარების ეტაპები. მესამე თავში - საკრედიტო კავშირები კი საქართველოში არსებული საკრედიტო კავშირების რეგულირებისა და საკანონმდებლო ცვლილებების შესახებაა საუბარი.

დასკვნაში წარმოდგენილია შედეგები და რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის გაჯანსაღებას საქართველოში.

Annotation

Characteristics of functioning of nonbank financial and credit institutions in Georgia

Tite Nikoladze

In the modern economy, nonbank financial and credit institutions are one of the most important part in the financial system. Their functioning contributes to the development and stability of the economy. They are a part of financial intermediation and are an alternative of commercial banks. Nonbank financial organizations are participants in the loan market and contribute to the improvement of their activities, the improvement and sustainability of the financial system. The issue of nonbanking sector activities and regulation is relevant in the Georgian reality.

The master thesis contains an introduction, the main part of the text, a conclusion and the used literature. The introductory part discusses the actuality of the topic, the purpose and objectives of the paper, the formulation of the object of the research, the methods used for the research and the novelties of it.

In first chapter there is discussed the main directions of nonbank financial and credit institutions at the present stage and its historical and modern theories in the credit market. In second chapter there are the main directions of the activities of microfinance organizations, also there is an overview of the activities of microfinance organizations as the main non-bank financial-credit institution in Georgia and successful companies and the stages of their development. In the third chapter we talk about a credit unions, about their regulation system and legislative changes in Georgia.

The report presents results and recommendations that will help to improve the activities of nonbank financial and credit institutions in Georgia.

შინაარსი

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია (ინგლისურ ენაზე)

შესავალი.....5

თავი პირველი. არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების ძირითადი მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე.....7

1.1 საქართველოს არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების ფუნქციონირება.....7

1.2 არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების ზედამხედველობა და რეგულირება საქართველოში.....14

თავი მეორე. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებები..... 1 Error!

Bookmark not defined.

2.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის მიმოხილვა და საკანონმდებლო რეგულირება..... 1 Error! Bookmark not defined.

2.2 საქართველოს მიკროსაფინანსო ბაზარი.....31

თავი მესამე. საკრედიტო კავშირები.....38

3.1 საკრედიტო კავშირების საქმიანობის მიმოხილვა და საკანონმდებლო რეგულირება.....38

3.2 საკრედიტო კავშირები საქართველოში.....45

დასკვნა.....49

გამოყენებული ლიტერატურა.....51

შესავალი

თემის აქტუალობა: ქვეყნის ეკონომიკისათვის საფინანსო-საკრედიტო სექტორის განვითარება განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია. ამ დარგის გამჭირვალობა და საკრედიტო რესურსებზე წვდომა ბიზნეს სექტორის განვითარების კატალიზატორის ფუნქციას ითავსებს. ქვეყნის საკრედიტო-ფინანსური სისტემის წინსვლა წარმოდგენელია არასაბანკო-საკრედიტო ინსტიტუტების განვითარების გარეშე.

საქართველოში დიდი ხანია არსებობს სესხის აღების სხვადასხვა საშუალება, რომელიც ბანკთან ერთად მოიცავს სხვადასხვა არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებს. სხვადასხვა სახის ფინანსურ სუბიექტებს გააჩნიათ განსხვავებული საპროცენტო განაკვეთები და მოთხოვნები. თუმცა ადრე თითქმის არ არსებობდა მათი რეგულირების მექანიზმები. ამასთან მიკროდაკრედიტება ყოველთვის იყო და არის ძალიან პოპულარული საზოგადოებაში, გამომდინარე იქედან, რომ საბანკო სესხისგან განსხვავებით, იგი დღესაც მარტივ დოკუმენტაციასა და ნაკლები პირობების დაკმაყოფილებას მოითხოვს, შესაბამისად კი უფრო ხელმისაწვდომია ვიდრე საბანკო პროდუქტები. მიუხედავად იმისა, რომ საბანკო სესხებისგან განსხვავებით არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო კომპანიებს უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი გააჩნიათ, მოქნილობისა და პროცედურული სიმარტივის წყალობით იგი ძალიან პოპულარულია საქართველოში და დარგის კონსოლიდირებული სასესხო პორტფელი 350 მილიონ ლარს აღწევს.

არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო სექტორი საკმაოდ მოქნილია როგორც ბიზნესის წარმართვის კუთხით, ასევე მომხმარებლების გადმოსახედიდან. ეს ხაზს უსვამს მოცემულ საკურსო ნაშრომში გადმოცემული საკითხის აქტუალობას და მისი განხილვის აუცილებლობას.

კვლევის ობიექტი. სამაგისტრო ნაშრომის ობიექტია საკრედიტო კავშირები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო სექტორს საქართველოში.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია ვაჩვენოთ თუ ვინ ქმნის არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ბაზარს საქართველოში, დავახასიათოთ ამ სფეროს თითოეული ელემენტი და მათი განვითარება, ასევე გავაანალიზოთ ამ სფეროს დღევანდელი მდგომარეობა.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა კვლევის სისტემური და ლოგიკური განზოგადების მეთოდები, ასევე ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, მკვლევართა მიერ გამოქვეყნებული სტატიები, უცხოენოვანი ლიტერატურა, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისა და ასევე საფინანსო კომპანიების მიერ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული სტატისტიკური და ანალიტიკური მასალები.

კვლევის სიახლეები: სამაგისტრო ნაშრომში ჩამოყალიბებულია დასკვნები და რეკომენდაციები, საქართველოში არსებული არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

თავი I. არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების ძირითადი მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე

1.1 საქართველოს არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების ფუნქციონირება

ბანკები არ არიან ერთადერთი საფინანსო შუამავლები, რომელთა მომსახურებითაც მოსახლეობა სარგებლობს. სურვილისამებრ თქვენ შეგიძლიათ ფინანსურ კომპანიაში შეიძინოთ დაზღვევა, აილოთ სესხი განვადებითი დაფარვით ან იყიდოთ აქციები. ყოველ მსგავს შემთხვევაში თქვენ სარგებლობთ არასაბანკო ფინანსური შუამავლების მომსახურებით. აშშ-ში ბანკები და აგრეთვე არასაბანკო ფინანსური დაწესებულებები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, როცა რესურსებს მენაბრე-კრედიტორებისაგან მიმართულებას აძლევენ სახსრების გამომყენებელ მსესხებლებამდე. გარდა ამისა, ფინანსური ინოვაციები ხელს უწყობდნენ არასაბანკო ფინანსური დაწესებულებების განვითარებას და სხვადასხვა ფინანსურ შუამავალთა შორის საზღვრების მოშლას.

ფინანსური კომპანიები სახსრებს მიიზიდავენ თამასუქების, აქციების და ობლიგაციების გამოშვებით, ან სესხად იღებენ რესურსებს ბანკიდან და სახსრებს კრედიტების მისაწოდებლად იყენებენ, რომლებიც რიგიანად აკმაყოფილებენ კლიენტების მოთხოვნებს. ასეთი კომპანიების საფინანსო შუამავლების პროცესი მდგომარეობს მსხვილი თანხების სესხებაში და კრედიტების მცირე თანხებად მიწოდებაში. იმ ბანკების საპირისპიროდ, რომლებიც წვრილ დეპოზიტებს მიიზიდავენ და შემდგომ მსხვილ თანხებს ავიწროვებენ.

ფინანსური კომპანიების ძირითად დახასიათებელ თვისებად იქცა სესხების მიწოდება იმ კლიენტებისათვის, რომლებიც ასევე იღებენ კრედიტებს ბანკებში. ფინანსური კომპანიები სახელმწიფოსაგან ფაქტიურად არ რეგულირდებიან,

კომერციული ბანკებისაგან განსხვავებით. შტატები არეგულირებენ მაქსიმალურ თანხას, რომელიც კომპანიამ შეიძლება შეუზღუდოს ინდივიდუალურ კლიენტებს, სასესხო კონტრაქტების ვადები, მაგრამ არ ზღუდავენ ფილიალების გახსნას, დაქვითული აქტივების სტრუქტურას და სახსრების მიზიდვის თანხებს. შეუზღუდავობამ ფინანსურ აქტივებს შესაძლებლობა მისცა კრედიტები უკეთ მიესადაგებინათ კლიენტებისათვის, ვიდრე ამას საბანკო დაწესებულებები აკეთებენ.

არსებობს საფინანსო კომპანიათა სამი ტიპი: სავაჭრო, სამომხმარებლო და კომერციული

1. სავაჭრო ფინანსური კომპანიები მიეკუთვნებიან ცალკეულ საცალო ან საწარმოო კომპანიებს და მომხმარებლებს სესხს აწოდებენ საქონლის ან მომსახურების შესაძენად, მაგალითად, Sears Roebuck Acceptance Corporation კომპანიის მიერ წარმოებული ავტომობილების შესაძენად მომხმარებელთა შენაძენის დამფინანსებელი კომპანიები. პირდაპირ კონკურირებენ მომხმარებლებისათვის სესხების მიმწოდებელ ბანკებთან, თან ხშირად კლიენტებს ურჩევენიათ სესხი პირდაპირ მანქანის შეძენის ადგილზე აიღონ, სადაც უფრო მოსახერხებელი და სწრაფი მომსახურებაა, ვიდრე ბანკში.

2. სამომხმარებლო ფინანსური კომპანიები კლიენტებს სესხს აწოდებენ ავეჯის და საოჯახო ინვეტარის შესაძენად, რემონტისათვის ან წვრილი ვალების რეფინანსირების მიზნით. სამომხმარებლო ფინანსურმა კომპანიებმა უნდა იარსებონ ცალკეულ კორპორაციადაც (როგორც Household Finance Corporation) ან ბანკების კუთვნილებაში იყვნენ (Citygroup Person-to-Person Finance Company). ჩვეულებრივ ასეთი კომპანიები სესხს მიაწოდებენ იმ მომხმარებლებს, რომლებსაც სხვა წყაროებიდან არ შეუძლიათ სესხის მიღება, მაღალი პროცენტის გამო.

3. კომერციული ფინანსური კომპანიები აწვდიან სპეციალური ფორმის კრედიტებს საწარმოებს, დებიტორული ანგარიშების გამოსყიდვით, დისკონტით. დაკრედიტების ასეთმა ფორმამ მიიღო ფაქტორინგის სახელწოდება. დავუშვათ, რომ სამკერვალო ატელიეს გააჩნია ანგარიშები (დებიტორიული დავალიანება) კონტრაგენტის მიერ აუნაზღაურებელი 100 000 დოლარის ოდენობით, თუ ატელიეს დასჭირდება ნაღდი ფული საკერავი მანქანების შესაძენად, მას შეუძლია დებიტორული ანგარიშები, მიყიდოს ფინანსურ კომპანიას და მიღებული ფულით შეისყიდოს საჭირო ინვენტარი.

კომერციული ფინანსური კომპანიები გარდა ფაქტორინგისა, სპეციალიზდებიან ალჭურვილობის ლიზინგზე, რომლებსაც ისინი შეიძენენ და შემდეგ ლიზინგს გადასცემენ საწარმოებს დადგენილი ვადით.

საქართველოს საფინანსო-საკრედიტო ინდუსტრია აშშ-სა და სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, ცხადია, ნაკლებად მრავალფეროვანია. მის ელემენტებს წარმოადგენს კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები - საკრედიტო კავშირები.

კომერციული ბანკი განისაზღვრება, როგორც ფულად საკრედიტო ორგანიზაცია, რომელიც იმყოფება ორ იარუსიანი საბანკო სისტემის პირველ საფეხურზე და ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის საბანკო მომსახურებას ეწევა საფასურიანობის საფუძველზე, სხვა კომერციულ ბანკებთან საბაზრო კონკურენციის პირობებში. კომერციული ბანკის ძირითადი ფუნქციებია დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებების მოზიდვა, მათი განთავსება და კლიენტურის საანგარიშსწორებო-საკომისიო მომსახურება.

საქართველოს კანონმდებლობით კომერციული ბანკებისათვის ნებადართულია საქმიანობის მხოლოდ შემდეგი სახეობები: დეპოზიტების მოზიდვა, სესხების გაცემა, ფასიანი ქაღალდების, დერივატივების, სავალუტო ინსტრუმენტებით ვაჭრობა, ასევე სავალო საბუთების, უცხოური ვალუტითა და ძვირფასი ლითონების ყიდვა-გაყიდვა. იგი აწარმოებს ნაღდ და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების, აგრეთვე საკასო-საინკასაციო მომსახურებას. ბანკების ძირითად ფუნქციებში შედის გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება, საშუამავლო მომსახურება გაწევა საფინანსო ბაზარზე, სატრასტო ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება და აღრიცხვა და საკრედიტო-საცნობარო მომსახურება.¹

კომერციული ბანკი ყველაზე მრავალფეროვანი და მრავალხმრივ რეგულირებადი საფინანსო ელემენტია ყველგან, მათ შორის საქართველოშიც. ვინაიდან იგი არ წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის თემას, ამიტომ ანალიზი შეეხება მხოლოდ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და საკრედიტო კავშირებს.

¹ საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ. 20 დეკემბერი, 2019წ. თავი IV, მუხლი 20. ნანახია: 29.06.2020

საქართველოს საფინანსო-საკრედიტო სისტემაში შედის საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების სამი ძირითადი ჯგუფი:

- ეროვნული ბანკი
- კომერციული ბანკები
- არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები

სამაგისტრო ნაშრომში განვიხილავთ საკრედიტო სისტემის მესამე ჯგუფს არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებს. ისინი უფრო განვითარებული გვხვდებიან მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები ძირითადად ისეთი ტიპის საქმიანობებს აკრედიტებენ რომელთაც შეეხება აქვთ სოფლის მეურნეობის ან მეურნეობრივი ტიპის განსაზღვრულ დარგებსა და სფეროებთან. არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო სისტემის ჯგუფში ერთიანდებიან:

სადაზღვეო კომპანიები, სადაც გვხვდება სავალდებულო დაზღვევის ბაზარი და ნებაყოფლობითი დაზღვევის ბაზარი. ამ ბაზრის ორი მონაწილეა: დამზღვევეები და დაზღვეულები. დამზღვევეები არიან სუბიექტები რომლებიც სადაზღვეო მომსახურებას ყიდნიან, ანუ ისინი რისკების გადამზღვევი კომპანიები არიან. ხოლო დაზღვეულები ფინანსური ბაზრის ის სუბიექტებია რომლებიც რისკის მინიმუმამდე შემცირების მიზნით ყიდულობენ სადაზღვეო მომსახურებას.

სადაზღვეო ბაზრის ფუნქციონირების მთავარი საფუძველია, რომ მომსახურების მოთხოვნის ფორმირებას დაზღვეულები აწარმოებენ, ხოლო მიწოდებას დამზღვევეები. ამის შედეგად სადაზღვეო პროდუქტებზე დგინდება სადაზღვეო შენატანის ფასი, სადაზღვეო პრემია, რასაც დაზღვეული იხდის რისკის აცილების საფასურად.

სადაზღვეო კომპანიები, მოგებას სადაზღვეო პოლისების რეალიზაციით იღებენ. ისინი მიღებულ ფინანსურ რესურსებს სხვადასხვა სახის ფასიან ქაღალდებში აბანდებენ. შესაძლოა ეს იყოს სამრეწველო კომპანიების აქციები, ობლიგაციები თუ სახელმწიფოს ფასიან ქაღალდები. ამ გზით ისინი გრძელვადიან სესხებით აკრედიტებენ საწარმოებსა და ხელისუფლების ორგანოებს. დაზღვევის ობიექტის მიხედვით ეს კომპანიები ორ ძირითად ჯგუფად იყოფიან: სიცოცხლის და ქონების დაზღვევა;

საპენსიო ფონდების ფუნქციას ადამიანები მოხუცებულობის დროს უზრუნველყონ პენსიით. ამ ფონდებს აყალიბებენ როგორც კერძო კომპანიები ასევე სახელმწიფო დაწესებულებები. საპენსიო ფონდები იქმნება ქვეყანაში დასაქმებული მოსახლეობის შენატანების საფუძველზე. მათი განმასხვავებელი ნიშნები ორგანიზაციისა და აქტივების სტრუქტურაა. მსგავსად დასაზღვეო კომპანიებისა საპენსიო ფონდებიც ფლობენ გრძელვადიან ფინანსურ სახსრებს და მათ სახელმწიფო და კერძო ფასიან ქაღალდებში აბანდებენ.

საქართველოში 2018 წელს განხორციელებულმა საპენსიო რეფორმამ ძირეულად შეცვალა მისი ფორმირების სისტემა, რაც თავისი მასშტაბით ყველაზე გრძელვადიანი ფინანსური ინსტრუმენტია. ეს კი პოზიტიურად მოქმედებს ეკონომიკურ განვითარებაზე, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასა და პროდუქტიულობის ზრდაზე.

2020 წლის დასაწყისისათვის საქართველოს საპენსიო ფონდის მოცულობამ 500 მილიონ ლარს გადააჭარბა. აღნიშნული თანხა კი სხვადასხვა კომერციული ბანკისა და ეროვნული ბანკის ანგარიშებზე აკუმულირდება. გასული წლის მონაცემებით ამ ინვესტიციით დარიცხულმა სარგებელმა 17 მილიონი ლარი შეადგინა რაც 7,5% ის ტოლი ამონაგების ტოლია.² ეს ყოველივე საპენსიო ფონდს ხდის მნიშვნელოვან მოთამაშედ საქართველოს ფინანსურ სექტორში და ეხმარება მას სრულყოფაში. სწორედ ამიტომ შეიქმნა ეროვნული ბანკის საზედამხედველო საბჭო და მარეგულირებელი ჩარჩო რათა საპენსიო ფონდის საქმიანობა მაქსიმალურად მიახლოებულ იქნას საერთაშორისო სტანდარტებთან. 2019 წლის ბოლოდან კი ეროვნული ბანკი საპენსიო ფონდების ზედამხედველობის საერთაშორისო ორგანიზაციის მმართველი წევრი გახდა.

არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტია ფინანსური კომპანიებიც, ისინი სპეციალიზირებულნი არიან დააკრედიტონ საცალო, საბითუმო ვაჭრობით დაკავებული ბიზნესები. ამის გამო ისინი განსაკუთრებული ტიპის საკრედიტო დაწესებულებად იწოდებიან. ასეთი კომპანიების ფართო ქსელი მსოფლიოს მრავალ

² საქართველოს ეროვნული ბანკის 2019 წლის ანგარიში. 27 აპრილი 2020წ.

განვითარებულ სახელმწიფოში გვხვდება: აშშ, ინგლისი, საფრანგეთში, გერმანია და სხვა.

ფინანსური კომპანიები სესხებს საშუალოდ 1-დან 3 წლამდე ვადით გასცემენ. ისინი დაკრედიტებას ორნაირად ახდენენ: ან საქონლის „ნისიად“ გაყიდვის დაფინანსებით, ან პირადი დაფინანსების გზით.

აგრეთვე აღსანიშნავია საქველმოქმედო ფონდები, რომელთა შექმნაც გარკვეული მიზეზების გამო გახდა საჭირო. პირველ რიგში ეს იყო გადასახადებისაგან თავის დაძვრენა და ამის გამო სიმდიდრის გარკვეული ნაწილს მეწარმეები საქველმოქმედო მიზნებისათვის გასცემდნენ. საქველმოქმედო ფონდების შექმნის შედეგად ისინი აფინანსებდნენ სკოლების, უნივერსიტეტების, ეკლესიების მშენებლობას და სხვა.

საქართველოში საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებას ახდენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური. ყოველი წლის პირველ აპრილამდე ამ ორგანიზაციებმა უნდა წარუდგინონ ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის პროგრამული ანგარიში და ფინანსური ანგარიში შემოსავლების შესახებ.

საკრედიტო კავშირები საქართველოში ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის ნაწილია და ისინი წარმოადგენენ კოოპერატივების ანალოგს. საკრედიტო კავშირები იქმნება მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფების მიერ პროფესიული ან რელიგიური პრინციპების მიხედვით. მისი კაპიტალი ყალიბდება საპაიო შენატანებით და როგორც წესი გამოიყენება მოკლევადიანი დაკრედიტებისათვის. საქართველოში 2020 წლის დასაწყისისათვის რეგისტრირებული იყო მხოლოდ ორი საკრედიტო კავშირი, რომელთა აქტივების ღირებულებაც 1.5 მილიონი ლარი იყო.³ საკრედიტო კავშირის მთავარ პრინციპად მიჩნეულია ერთსა და იმავე ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებთა საერთო ნიშნით გაერთიანება. ასევე აუცილებელია კავშირის რაოდენობის ლიმიტირება, ის არ უნდა სცდებოდეს 200 წევრს. საკრედიტო კავშირი არამხოლოდ მისი წევრებისაგან დეპოზიტების მოსაზიდადაა შექმნილი, ის რეალური საერთო მიზნების მისაღწევად იქმნება.

საქართველოს ფინანსური სექტორი ძირითადად კომერციული ბანკეთაა წარმოდგენილი. კაპიტალის ბაზრის როლი კი შედარებით ნაკლებია. ხოლო რაც შეეხება

³ საქართველოს ეროვნული ბანკის 2019 წლის ანგარიში. 27 აპრილი 2020წ.

არასაბანკო საფინანსო საკრედიტო ინსტიტუტებს და მათ აქტივებს იგი 5-დან 23 მილიარდ ლარამდე გაიზარდა ბოლო წლების მანძილზე და მათი კლების ტენდენცია არ შეინიშნება.

ცხრილი №1.1 საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსური სექტორის აქტივები საქართველოში

N	ფინანსური სექტორი	აქტივების წილი
1	კომერციული ბანკები	91,90%
2	არასაბანკო სექტორი (მისო+საკრედიტო კავშირები)	5,92%
3	საბროკერო კომპანიები	2,06%
4	სადაზღვეო კომპანიები	0,12%

წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი

საკრედიტო ბაზარი 21-ე საუკუნიდან იწყებს სწრაფ განვითარებას და სრულყოფას. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში კომერციულ ბანკებს უკვე ძლიერ კონკურენციას უწევენ არასაბანკო ინსტიტუტები. მათ საკანონმდებლო ბაზა და სპეციალური ფუნქციონირების მეთოდები არეგულირებს. არასაბანკო სექტორი ეკონომიკის სხადასხვა დარგებს აქტიურად აკრედიტებენ. აგრეთვე ხორციელდება დანაზოგებისა და შემოსავლების სასესხო კაპიტალად გადაქცევა. აღნიშნულ საკრედიტო ინსტიტუტებს კომერციული ბანკისგან გამოარჩევს ის, რომ ბანკები უნივერსალური საკრედიტო სფეროს წარმომადგენლები არიან, მაშინ როცა არასაბანკო ინსტიტუტები ეკონომიკის დარგის ვიწრო სპეციალიზაციით არიან დაკავებულნი.

2020 წლის დასაწყისისათვის, არასაბანკო საფინანსო სექტორში ერთიანდებოდა 48 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, 847 ვალუტის გადამცვლელი პუნქტი, 378 სესხის გამცემი სუბიექტი და 2 საკრედიტო კავშირი.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობის შემცირებამ გამოიწვია ფინანსურ ბაზარზე აქტივების კლების ეფექტი, თუმცა მალევე დაკომპენსირდა ახალი რეგულაციებით, რომელიც მოთხოვნების უზრუნველსაყოფად სახსრების შემოდინებას

გულისხმობს. არასაბანკო საფინანსო სექტორის მთლიანი აქტივები 2 მლრ ლარამდეა (სადაც უდიდესი წილი - 1,4 მლრდ ლარი-მიკროსაფინანსო სექტორს ეკუთვნის) და მთლიანი საფინანსო სექტორის თითქმის 4 პროცენტს შეადგენს.⁴

1.2 არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების ზედამხედველობა და რეგულირება საქართველოში

არასაბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის მიზანია სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება, საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა, ასევე შესაძლო რისკებისაგან თავის არიდება. არასაბანკო ზედამხედველობის ამოცანა მომხმარებელთა უფლებების დაცვაა, მაგრამ არა კონკრეტული კრედიტებისა და მენაბრეების, არამედ არასაბანკო სისტემის სტაბილიზაცია, რათა არ მოხდეს სისტემური კრიზისი. ზედამხედველობის განუვითარებლობას სხვადასხვა პრობლემების წინაშე მივყავართ:

- იზრდება უნდობლობა საკრედიტო საწესებულებების მიმართ
- ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნის გამო მომხმარებელი ვერ აკეთებს რაციონარულ არჩევანს
- არასტაბილურობის გამო ხდება საკრედიტო რესურსების ქვეყნიდან გადინება

სწორედ ეს ხდის მნიშვნელოვანს არასაბანკო ზედამხედველობა იყოს სრულყოფილი რათა საფინანსო დაწესებულებებმა იმუშაონ გამჭვირვალედ და განვითარდნენ. რაც თავის მხრივ მოსახლეობის ეკონომიკური ცნობიერების ამაღლებაზე დადებითად იმოქმედებს.

არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების ზედამხედველობისა და რეგულირების გაუმჯობესების მიზნით ეროვნულ ბანკს შემუშავებული აქვს საკანონმდებლო ბაზა. რის მიხედვითაც მას ექვემდებარებიან: მიკროსაფინანსო

⁴ საქართველოს ეროვნული ბანკის 2019 წლის ანგარიში. 27 აპრილი 2020წ.

ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირები.

2018 წლიდან არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების რეგულირება და ზედამხედველობა აქტიურად დაიწყო. საკანონმდებლო ბაზაში შევიდა უამრავი ძირეული ცვლილება, რამაც რისკების შემცირება გამოიწვია. საკანონმდებლო ცვლილებები მიმართულ იყო არამხოლოდ საბანკო სექტორის მიმართ, რომელიც მანამდეც მკაცრად რეგულირებული იყო, არამედ ფინანსური ბაზრის იმ ნაწილისკენ, რომელიც აქამდე ფაქტიურად ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე ფუნქციონირებდა.

აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა დაგვანახა, რომ მკაცრ რეგულაციებს ფინანსურ ბაზარზე მოაქვს სტაბილურობა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა და უსაფრთხოება. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, 2018 წელს დამტკიცდა „სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი“, რომლის საფუძველზეც, 2019 წლიდან, ზედამხედველობას დაექვემდებარა ყველა სუბიექტი, რომელთა მიმართაც 20-ზე მეტ ფიზიკურ პირს სასესხო/საკრედიტო ვალდებულება გააჩნდა.

სესხის გამცემ სუბიექტებს მნიშვნელოვანი წილის მფლობელთა შესაფერისობის კრიტერიუმების დაკმაყოფილების ვალდებულება წარმოექმნათ. საფინანსო სექტორში რყევების თავიდან ასაცილებლად და სესხის გამცემი სუბიექტების რეგულირებად სფეროში ფუნქციონირებისათვის, ეროვნული ბანკი მათთან მუდმივ კომუნიკაციას აწარმოებდა.

2019 წელს, მიღებულ რეგულაციებს შეემატა ისიც, რომ მისო-ებს და სესხის გამცემ სუბიექტებს სესხის უზრუნველსაყოფად მიღებული ქონების, ნებისმიერი სახის ვალდებულების უზრუნველყოფის საგნად გამოყენება აკრძალათ და კომპანიებს აღარ ჰქონდათ უფლება „არაკეთლსინდისიერი“ მსესხებლის დავალიანების ამოღების მიზნით გირაოს საგნის გარდა რომელიმე სხვა ქონების რეალიზაცია მოეთხოვათ.

იგი პირველ რიგში მიმართული იყო დაკრედიტების სტანდარტების გაუმჯობესებისაკენ და მომხმარებელთა უფლებების დაცვისკენ, რადგან

დაგირავებული ქონების გადაგირავება აღნიშნული ქონების დაკარგვის რისკს ზრდიდა და სესხის გადახდის შემდეგ ქონების დაბრუნების პროცესს აჭიანურებდა. ასევე გასული წლიდან მიღებულ იქნა დებულება „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ“, რომლის მოთხოვნების შესრულებაც ყველა არასაბანკო სექტორის წარმომადგენელს დაეკისრა, რამაც ხელი შეუწყო პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტის დამკვიდრებას.

თავი II. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებები

2.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის მიმოხილვა და საკანონმდებლო რეგულირება

მიკროდაფინანსება ზოგადად გულისხმობს მიკრო მეწარმეებისა და მცირე ბიზნესის ფინანსური სერვისით უზრუნველყოფას, რომელთაც არ აქვთ წვდომა საბანკო მომსახურებაზე. შესაბამისად მიკროდაფინანსებას გააჩნია მაღალი ტრანსაქციული დანახარჯები რომელიც მსგავსი კატეგორიის კლიენტების დაფინანსებასთანაა დაკავშირებული.

მიკროფინანსირების ისტორია იწყება 1800-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც ამერიკელი თეორიტიკოსი ლისანდერ სპუნერი წერდა მცირე კრედიტების სარგებლობის შესახებ მეწარმეებისთვის და ფერმერებისათვის როგორც ხალხის სიღარიბიდან გამოყვანის გზაზე. მაგრამ ამ კონცეფციამ დიდი გავლენა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, მარშალის გეგმასთან ერთად იქონია.

დღევანდელი მიკროფინანსირების დარგის ფესვები 1970-იანი წლებიდან მოდის, როდესაც ბანგლადეშის „გრამინ ბანკმა“ მიკროფინანსირების პიონერ მუჰამედ იუნუსთან ერთად (ბანგლადეშელი ბანკირი, ეკონომისტი და ნობელიანტი) ახდენდა თანამედროვე მიკროფინანსირების ინდუსტრიის ფორმირებას. მრავალმა პიონერმა ფირმამ დაიწყო ექსპერიმენტირება სესხების გაცემით ე.წ. ფინანსურად დაუმსახურებელ ხალხზე (დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა).

მთავარი მიზეზი რატომაც თარიღდება მიკროფინანსირების სექტორის განვითარება 1970-იან წლებით არის ის, რომ არსებული პროგრამებით შეიძლებოდა ხალხის ნდობა, რომ ისინი სესხებს გადაიხდიდნენ და რომ სუბსიდირების გარეშე შესაძლებელია ფინანსური მომსახურების მიწოდება ღარიბი ხალხისთვის საბაზრო ფირმების მიერ. შორბანკი იყო პირველი მიკროსაფინანსო ბანკი რომელიც 1974 წელს დაარსდა ჩიკაგოში.

2004 წელს განვითარებად ქვეყნებში „ალტერნატიული ფინანსური ინსტიტუტების“ ანალიტიკოსების შეფასებით 665 მილიონ კლიენტს მსოფლიოს მასშტაბით ემსახურებოდა 3000მდე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომლებიც

მოიცავდა იმ ხალხს კომერციული ბანკის სტანდარტულ კლიენტურაზე უფრო ღარიბი იყო. ეს მონაცემები ზოგად მიკროსაფინანსო ფორმებთან ერთად (120მლნ) მოიცავდა შემნახველ ბანკებს (318 მლნ), სახელმწიფო აგროკულტურულ და განვითარების ბანკებს (172 მლნ), ფინანსურ კოოპერატივებსა და საკრედიტო კავშირებს (35 მლნ) და სპეციალიზებულ სასოფლო ბანკებს (20 მლნ). რეგიონალური თვალსაზრისით ყველაზე დიდი კონცენტრაცია მოდიოდა ინდოეთზე, შედარებით ნაკლები კი ლათინურ ამერიკაზე, კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებსა და აფრიკაზე.

ყველაზე მეტად მიკროსაფინანსო სექტორი განვითარებულია აფრიკაში, სამხრეთ ამერიკაში, მექსიკასა და სამხრეთ აზიაში, ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ნაწილში, გამომდინარე იქედან რომ ამ რეგიონებში უფრო მეტია დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობა, რომელიც საჭიროებს მიკროსესხებს თავიანთი საქმიანობის განსამტკიცებლად.

2002 წელს ძალაში შევიდა კანონი არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების-საკრედიტო კავშირების შესახებ. დღეს ამ დარგში გაცემული სესხების კონსოლიდირებული მაჩვენებელი 3 მილიონ ლარს აღწევს, რაც საკმაოდ მოკრძალებული ციფრია. მიკროდაფინანსების სექტორში კი ჩამოყალიბებული სტრუქტურისა და განსაზღვრული ფუნქციების მქონე ინსტიტუტი საქართველოში 2006 წლიდან გამოჩნდა. ამავე წლის 18 ივლისს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ რითაც საფუძველი ჩაეყარა ამ სფეროს სტანდარტიზებულ, კანონდაქვემდებარებულ განვითარებას.

მიკროსაფინანსო ინსტიტუტების შესახებ დეტალური მონაცემების მნიშვნელოვანი წყაროა მიკრობანკინგის ბიულეტენი (*MicroBanking Bulletin*) რომელიც ქვეყნდება Microfinance Information Exchange- მიერ. 2009 წლისთვის ამ წყაროს ცნობით 1084 მიკროსაფინანსო ინსტიტუტი ემსახურებოდა 74 მილიონ მსესხებელს (38 მილიარდი დოლარის ოდენობის სესხებით) და 67 მილიონ დამზოგველს (23 მილიარდი დოლარის დეპოზიტებით).

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა გამოიწვია ამ ინდუსტრიის სახელის შებღალვა. ისინი არიან პასუხისმეგლები მომხმარებლების ჭარბვალიანობაზე რაც ზრდის ტემპითაა გამოწვეული. ასევე სესხის ამოღების

აგრესიული პრაქტიკითა და სასესხო ხელშეკრულების გამჭვირვალობის პრობლემებით. სწორედ ამან გამოიწვია ინდუსტრიის სახელის შეიბღალვა, ამიტომაც მათ დაიწყეს თვითკრიტიკა, უფრო ფრთხილები და პასუხისმგებლიანები გახდნენ. ის თანდათან იბრუნებს დაკარგულ სახელს. ამ ყოველივეს გამოსწორების შემდეგ ალბათ ნათელი ხდება, რომ სწორი რეგულაციების პირობებში მისო-ებს დადებითი წვლილის შეტანა შეუძლიათ ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაში. ცალკე აღებულ არც ერთ ფინანსური შუამავლობის ფორმას, მათ შორის მიკროსაფინანსოებსაც, არ შეუძლია განაპირობოს ეკონომიკური განვითარება, თუმცა მას უნარი შესწევს დაიცვას მომხმარებლები ეკონომიკური არასტაბილურობისაგან და ეკონომიკურ საქმიანობაში ეფექტურად იფუნქციონირონ.

საქართველოში არსებულ მისო-ებში წლიური საპროცენტო განაკვეთი, მერყეობს 24-36%-ის ფარგლებში, ხოლო ეფექტური 46%-ია.⁵ ყურადსაღებია ასევე ის ფაქტი, რომ მომხმარებელი იხდის ფიქსირებულ პროცენტს და არა კლებადს, მსგავსად კომერციულ ბანკებში. სესხის გაპრობლემების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მაღალი საპროცენტო განაკვეთი. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მიკროსაფინანსო სექტორის სასესხო პორტფელის ვადაგადაცილების მაჩვენებელზე ინფორმაცია გასაჯაროებული არ არის, მაგრამ ცნობილია მათ მიერ დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონების მაჩვენებელი.

მისოების ზრდის ასეთი ტემპი განაპირობა იმან, რომ ისინი მუშაობენ მოგების მაღალ მარჟაზე. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 42 მისოდან დიდმა ნაწილმა ლომბარდით დაიწყო საქმიანობა.⁶ მათთვის დამახასიათებელია სესხებზე ძალიან ხისტი პირობები. ასეთ ორგანიზაციებთან მოლაპარაკება შეუძლებელი ხდება პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში. არ უწევს მომხმარებლებს არანაირ შეღავათს და არ აკეთებენ სესხის რეკონსტრუქტურიზაციას. ამის გამო ვადაგადაცილების შემთხვევაში

5 წვრილაშვილი მ., „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარების ტენდენციები საქართველოში“, <https://openscience.ge/bitstream/1/761/1/samagistro%20wkirialashcili%20madona.pdf>, თბილისი, 2014, გვ 29.

6 „ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის მიმოხილვა“, http://sab.ge/sites/default/files/mikrosapinanso_organizaciebis_sakmianobis_mimoxilva.pdf?fbclid=IwAR274ihdUu_mQnFfGx8vmV7vsY4u1MHhrWee1N6unpsncrc8bBDpuhMJ8UU

მომხმარებელს არანაირი გამოსავალი არ რჩება გარდა იმისა რომ თვითონ მოახდინოს ქონების რეალიზაცია, სხვა შემთხვევაში ამას თვითონ ორგანიზაცია სასამართლოს მეშვეობით, იძულების წესით აუქციონზე გაიტანს.

მისო-ები თავის მხრივ საკრედიტო პორტფელის რისკის დივერსიფიკაციის უზრუნველყოფას აკეთებენ, რაც გულისხმობს მოსალოდნელი ზიანის შემცირების მიზნით პორტფელში სხვადასხვა სახის, სხვადასხვა რისკის ხარისხის და ხანგრძლივობის კრედიტების თავმოყრა. საკრედიტო პორტფელის რისკების დივერსიფიკაცია ბანკს ხელს უწყობს ფინანსური მაჩვენებლისა და ფინანსური მდგრადობის გაუნჯობესებაში. ასევე იყენებენ მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების შემდეგი მეთოდებს:

- კომპლექსური მეთოდი - გამოიყენება კრედიტუნარიანობის შესაფასებლად, ფიზიკური პირის შემოსავლების სიდიდისა და ქონების საბაზრო ფასი გასაგებად.
- მსესხებლის (ფიზიკური პირის) შეფასება საკრედიტო ისტორიით.
- მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის რეიტინგული მეთოდი - სქორინგი (scoring).

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სახსრების მოზიდვას რამდენიმე წყაროდან ახდენენ. მათგან კი ყველაზე მნიშვნელოვანი 3 წყაროა: ფიზიკური პირებისაგან მიღებული სესხები, კომერციული ბანკებისგან და არარეზიდენტი საფინანსო კომპანიისაგან მიღებული სესხები.

საფინანსო სისტემა შედგება 3 საკრედიტო ინსტიტუტის ჯგუფისაგან:

1. ცენტრალური ბანკი.
2. კომერციული ბანკები.
3. არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები.

მის ძირითად მოვალეობას წარმოადგენს სახსრების მოზიდვა და კაპიტალად კაპიტალად გარდაქმნა. ამიტომაც ისინი ფულად სახსრებს დეპოზიტების სახით აგროვებენ. მათი მდგრადობის ძირითადი განმსაზღვრელი კაპიტალის რაოდენობა და ხარისხია. სახსრების აკუმულაციის საფუძველია ფულადი საშუალებების მოძრაობა. იგი გავლენას ახდენს სასესხო ღირებულების განსაზღვრაზე. ასეთი ოპერაციების დროს

არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების მიზანია მოზიდული ფულადი საშუალებების მომგებიანი განთავსება.

დანიშნულების მიხედვით გამოიყოფა: სამომხმარებლო, სამრეწველო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო, საინვესტიციო, ბიუჯეტური კრედიტები.

ფუნქციონირების სფეროს მიხედვით, საბანკო კრედიტები გაცემული მეურნეობის ყველა დარგის მიმართულებით (ე.ი. მეურნე სუბიექტისადმი) შეიძლება იყოს ორი სახის:

1. სესხები, რომლებიც მონაწილეობენ ძირითადი ფონდების გაფართოებულ კვლავწარმოებაში
2. კრედიტები, რომლებიც მონაწილეობენ საბრუნავი ფონდების ორგანიზაციაში.

გამოყენების ვადის მიხედვით კრედიტები იყოფა: მოთხოვნამდე, ვადიანი. ეს უკანასკნელნი თავის მხრივ იყოფა: მოკლევადიანებად, ერთ წლამდე; საშუალოვადიანად 1-3 წლამდე და გრძელვადიანად 3 წელზე ზევით.

როგორც წესი, ის კრედიტები, რომლებიც საბრუნავ ფონდებს აფინანსებენ, ითვლებიან მოკლევადიანებად, ხოლო სესხები, რომლებიც მონაწილეობენ ძირითადი საშუალებების გაფართოებულ კვლავწარმოებაში, მიეკუთვნებიან საშუალო და გრძელვადიან კრედიტებს.

სიდიდის მიხედვით ყოფენ: მსხვილ, საშუალო და წვრილ კრედიტებს.

უზრუნველყოფის მიხედვით განასხვავებენ: არაუზრუნველყოფილ და უზრუნველყოფილ კრედიტებად. უზრუნველყოფილი სესხები თავის მხრივ უზრუნველყოფის ხარისხის მიხედვით იყოფიან გირაოს, გარანტირებულ და დაზღვეულ კრედიტებად.

გაცემის მეთოდის მიხედვით საბანკო სესხი შეიძლება იყოს კომპენსაციური და საგადასახადო. პირველ შემთხვევაში კრედიტი მიემართება მსესხებლის საანგარიშსწორებო ანგარიშზე, საკუთარი სახსრების ანაზღაურებისათვის, რომლებიც ჩადებულ იქნა ან სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში, ან დანახარჯებში.

თანამედროვე საკრედიტო ბაზარს ახასიათებს გარკვეული სპეციფიკური ნიშნები, რაც მათ განასხვავებს სხვა ბაზრებისგან. მთავარი კი ისაა, რომ ფულადსაკრედიტო

ბაზარი „ვაჭრობს“ ფულით, ყველაზე ლიკვიდური საქნლით ამიტომ მისი ჩანაცვლება შეუძლებელია. ამიტომაც იგი არაელასტიუტი საქნელია. მეორე ძირითადი თავისებურება დაკავშირებულია ფინანსური კაპიტალის მობილობასთან. იგი უფრო მეტადა მობილური და მოქნილი ვიდრე სხვა ყველა დანარჩენი ფიზიკური საქონელი, რადგან შეუძლია სწრაფად განერიდოს იმ ქვეყნებს, სადაც მაღალია გადასახადები და მკაცრია საბანკო რეგულაციები.

მისოები არის კომერციული ბანკების ალტერნატიული საშუალება, რომლებიც ფინანსური შუამავლობის ტიპს წარმოადგენს. თუმცა მათგან განსხვავებით მათი საქმიანობის ძირითადი ნიშნებია:⁷

- იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მცირე სესხების, სალომბარდე და არაუზრუნველყოფილი სესხების გაცემა;
- ინვესტირების წარმოება სახელმწიფო ან საჯარო ფასიან ქაღალდებში;
- სადაზღვევო აგენტის ფუნქციის შესრულება;
- მიკროლიზინგი, ფაქტორინგი, ვალუტის გადაცვლა, თამასუქების გამოშვება, ობლიგაციებით ვაწრობა;
- მისო-ებს არ შეუძლიათ დეპოზიტების მიღება;
- ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსოებს უდგენს მომსახურების გაწევისას რა აუცილებელი და საჭირო ინფორმაციები უნდა გადასცენ მომხმარებლებს.
- დაბალი შემოსავლებისა და საკრედიტო რეიტინგის მქონდე მეწარმეების მომსახურება;


მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კარგი რეპუტაცია და ეფექტური მუშაობა ქვეყანაში ეკონომიკურ სტაბილურობას ქმნის. საბაზრო ეკონომიკის გამართულად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ისინი იყვნენ სწრაფები და უსაფრთხონი.

რეგულაციების გამკაცრებამ და საკანონმდებლო ცვლილებების დახვეწამ, რაც მომხმარებელთა დაცვისკენ იყო მიმართული უამრავი არასაბანკო ინსტიტუტის გაუქმება ან გარდაქმნა გამოიწვია. 2019 წელს მისო-ების რაოდენობა მკვეთრად

7 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შესახებ.(2006)
<https://matsne.ge/ka/document/view/24328?publication=15>

შემცირდა თუმცა რეგულაციების შემოღების მიუხედავად, მათმა საკრედიტო პორტფელმა ზრდის ტენდენცია მაინც შეინარჩუნა. ზრდის წლიური ტემპი 3 პროცენტი იყო, ხოლო მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა - 1,13 მლრდ ლარი შეადგინა, რომლის 97 პროცენტი ფიზიკურ პირებზეა გაცემული.

დიაგრამა N 2.1 მთლიანი სესხების მოცულობა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა




წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელი ძირითად შედგება ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებით, როგორებიცაა სამომხმარებლო და ონლაინ სესხები, ლომბარდი და განვადება. ის მთლიანი საკრედიტო პორტფელის 69 პროცენტს შეადგენს, თანხით - 780 მილიონი ლარი.

მისო-ების საკრედიტო პორტფელის 28 პროცენტი შედგება სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობა-მომსახურებაზე გაცემული სესხებით, თანხობრივად 314 მილიონი ლარი. თუმცა აღსაღნიშნავია, რომ მონაცემები 2018 წელთან შედარებით გაზრდილია.

დიაგრამა N 2.2 მთლიანი საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა




წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოში სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობა-მომსახურების სექტორის მთავარი დამფინანსებელი 4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა. მათი გაცემული სესხებით ამ სექტორის თითქმის 90%-ია დაფინანსებული. 2019 წლის მონაცემებით მიკროსაფინანსო სექტორმა წინა წელთან შედარებით ფიზიკურ პირებზე გაცემული სამომხმარებლო სესხების წილი თავიანთ საკრედიტო პორტფელში შეამცირა. ეს ერთის მხრივ განპირობებული იყო საფინანსო-საკრედიტო ბაზრიდან რამდენიმე ონლაინ გამსესხებელისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის გასვლით. ასევე ონლაინ სესხების ნაშთების შემცირებით და საკრედიტო პორტფელის სხვა წარმომადგენლებზე გასხვისებით. ყოველივე ამან დადებითი ეფექტი მოახდინა საკრედიტო პორტფელის ხარისხზე. მთლიან პორტფელში შემცირდა უმოქმედო სესხების წილი (9.2 პროცენტიდან 8.3 პროცენტამდე) და ვადაგადაცილებული პორტფელის წილი (13 პროცენტიდან 10 პროცენტამდე).⁸ ამან კი გააუმჯობესა პორტფელის სტრუქტურა უზრუნველყოფის მიმართულებით.


8 საქართველოს ეროვნული ბანკის 2019 წლის ანგარიში. (2020)
<http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136469/1-6037?fbclid=IwAR2queP-ELdE6zIxDcZXXvzRS5gzP7Ac5V3atiicbq8Hw6zXjx7p9leq8vM>

დიაგრამა N 2.3 საკრედიტო პორტფელის ხარისხი



წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 2.4 საკრედიტო პორტფელის რეზერვი პროდუქტების მიხედვით




წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი

მიუხედავად ონლაინ სესხების რეზერვების მაღალი მაჩვენებლისა, პორტფელის სიმცირემ, საკრედიტო პორტფელის ხარისხზე გავლენა ვერ იქონია.

2019 წელს მიკროსაფინანსოების ვალდებულებებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ყოფილა. შეიცვალა მხოლოდ ის რომ კომერციული ბანკებიდან ნასესხები ფულადი საშუალებები ჩაანაცვლა სხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებულმა სახსრებმა. ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მოზიდულმა სახსრებმა 67 მილიონი ლარი შეადგინა. რაც მთლიანი ფულადი საშუალებების 24% იყო.


დიაგრამა N 2.5 ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრები და კრედიტორი ფიზიკური პირების რაოდენობა



წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი


ეროვნული ბანკის არასაბანკო ზედამხედველობის მიერ, მისო-ებისათვის დაწესდა საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობისა და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების მოთხოვნა, რომელთა დაცვაც მისო-ებს 2019 წლის ბოლოსთვის მოეთხოვათ. შედეგად, გასული წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა საწესდებო კაპიტალი (39 პროცენტით თანხით 61 მილიონი ლარი).

დიაგრამა N 2.6 საზედამხედველო კაპიტალი



წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 2.7 საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია



წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი

2017 წელს განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა - ფიზიკურ პირზე 100 000 ლარამდე სესხის უცხოური ვალუტით გაცემის აკრძალვის თაობაზე, მისო-ების პორტფელის დოლარიზაციის კლება გამოიწვია.

2018 წლის მონაცემებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა წმინდა მოგება დარეზერვებამდე (52 მლნ ლარი). კლების მთავარ მიზეზად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობის შემცირებასთან ერთად დასახელდა, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ზღვრის შემოღება, რამაც მიკროსაფინანსოების მომგებიანობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შეამცირა.


ცხრილი N 2.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომგებიანობის მაჩვენებლები

	2018	2019
მარჟა	19%	16%
სპრედი	25%	17%

წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო სექტორის წმინდა მოგებამ 112 ათასი ლარი შეადგინა. რენტაბელობის დაბალი დონე გამოწვია ერთერთი ორგანიზაციის დიდი ოდენობით ზარალმა. ამ ორგანიზაციის მონაცემების გამოკლებით, გასულ წელს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომგებიანობა 42 მილიონი ლარი იყო.

დიაგრამა N 2.8 დაფინანსების წყარო



წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი


ახალი რეგულაციების გათვალისწინებით, (დამატებით კაპიტალიზაციის მოთხოვნა) აქტივების დაფინანსების სტრუქტურაში ნასესხები სახსრების წილი 63 პროცენტიდან 58 პროცენტამდე შემცირდა.

რეგულაციების გამკაცრების გამო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდაცია აქტიურად დაიწყო. 40 კომპანიაში ლიკვიდაცია უკვე დასრულდა, ხოლო 6 მისო-მ შეიცვალა საქმიანობის ფორმა და სესხის გამცემ სუბიექტად დარეგისტრირდა. ამის

მიზეზი ისიც გახდა, რომ მათზე შედარებით მსუბუქი რეგულაციები ვრცელდება. თუმცა, სესხის გამცემ სუბიექტებსაც აქვთ გარკვეული შეზღუდვები. მათთვის არაა ხელმისაწვდომი ფიზიკური პირების რესურსებზე წვდომა და დაბალი გავლენა აქვთ ფინანსური სტაბილურობაზე.

საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო ვალუტის გადავცვლელ პუნქტებსაც. 2019 წელს მათი რაოდენობის კლება დაიწყო. რეგულაციები მიმართლი იყო მომხმარებელთა უფლებების დაცვისკენ რათა მომსახურების ხარისხი ამაღლებულიყო. 2019 წლის ბოლოს მათი რაოდენობა 650-ს შეადგენდა, თავიანთი ფილიალების ჩათვლით კი 847-ს.

დიაგრამა N 2.9 ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რაოდენობა



წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს კანონმდებლობით მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შეიძლება დაფუძნებული როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), ან სააქციო საზოგადოება (სს). ის აუცილებელია იყოს რეგისტრირებული სააგენტოს მიერ და ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას, სააგენტოს ზედამხედველობით.

მისო-ებისათვის სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, რომელიც დაექვემდებარება სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს თაობაზე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესებს.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი საქმიანობები: იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მცირე მოცულობის(100 000ლ) სესხებით უზრუნველყოფა; ინვესტირება ფასიან ქაღალდებში; ფულადი გზავნილების განხორციელება; სადაზღვევო აგენტის ფუნქციის შესრულება; კრედიტების მიღება რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური

პირებისაგან; იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალის წილების ფლობა, რომელთა ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალის 15%-ს; მიკროლიზინგი, ფაქტორინგი, ვალუტის გადაცვლა, თამასუქების, ობლიგაციების გამოშვება, რეალიზაცია, გამოსყიდვა და მათთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები შეზღუდულნი არიან მიიღონ დეპოზიტები როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისაგან.

მიკროკრედიტი არის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ერთ ან მსესხებელთა ჯგუფზე საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება, რომელშიც განსაზღვრული უნდა იყოს მისი ვადა, საკრედიტო პროცენტი და მიზნობრიობა. სესხის მაქსიმალური ოდენობა ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს. მის საწესდებო კაპიტალში კი აუცილებელია მინიმუმ 1 000 000 ლარი.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორი შეზღუდულია კომპანიის მართვასთან ერთად დამატებით სხვა კომერციული ბანკის, არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო დაწესებულების და სხვა მისოს აქციონერი ან დირექტორთა საბჭოს წევრი იყოს. ასევე უფლება არ აქვს ისეთი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა სადაც მას პირადი ინტერესი ამომძრავებს.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორის პოზიციაზე არ შეიძლება დაინიშნოს პირი თუ წარსულში მისმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად დააზიანა კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი ან სხვა არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტი, ასევე დაარღვია დეპოზიტართა და კრედიტორთა უფლებები, ან გამოიწვია მათი გაკოტრება; კანონსაწინააღმდეგოა მისი დანიშვნაც, თუკი არ შეასრულა რომელიმე საფინანსო ინსტიტუტის ფინანსური ვალდებულება და ნასამართლევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ეკონომიკური დანაშაულის ჩადენისათვის.

ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია აწარმოოს გამჭვირვალე ფინანსური ანგარიშგება და დაიცვას საჯაროობის პრინციპი, შეიმუშაოს შიდა კონტროლის სისტემა, ყოველწლიურად გარე აუდიტორის დახმარებით ჩაატაროს აუდიტორული შემოწმება, აწარმოოს

ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე გამოაქვეყნოს ფინანსური ანგარიშგება და გარე აუდიტორული დასკვნა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია სააგენტოს წარუდგინოს ფინანსური ანგარიშგება. თუკი ის ზედიზედ ორჯერ არ წარუდგენს სააგენტოს მის მიერ დადგენილი ფორმითა და პერიოდულობით სააგენტო შეუძლია გააუქმოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაცია.

სესხის გაცემის დროს მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და მსესხებელს შორის იდება წერილობითი საკრედიტო ხელშეკრულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად. სესხი შეიძლება გაიცეს როგორც ინდივიდუალურად ასევე ჯგუფურად. იგი შეიძლება იყოს ქონებით უზრუნველყოფილი ან საბლანკო. სესხის გაცემის წესებს, საპროცენტო განაკვეთს, საკომისიოებსა და მომსახურების გაწევისათვის საფასურს ადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. ამასთან იგი ვალდებულია საკრედიტო ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაიცვას. კომპანიას ინფორმაციის გაცემა მხოლოდ მსესხებლისთვის, მისი წარმომადგენლებისა და სააგენტოსთვის შეუძლია. გამონაკლისია მისი გადაცემა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როცა ის ინფორმაციას ფინანსური მონიტორინგის სამსახურს გადასცემს. გარეშე პირებს ამ ინფორმაციასთან წვდომა მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ როცა არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან თავად მსესხებლის წერილობით შეთანხმება.

2.2 საქართველოს მიკროსაფინანსო ბაზარი

დღეის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია 42 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, 10 მათგანი წარმოდგენილია მიქსმარკეტის ელექტრონულ პლატფორმაზე, 20-25 კი ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშებს ათავსებს თავიანთ ვებ გვერდებზე. მიკროსაფინანსო ორგანიზაციათა უმეტესობა რეგისტრირებულია დედაქალაქში, დანარჩენები კი რეგიონებში.

ცხრილი N 2.2 მისო-ების რეგისტრირებული ადგილსამყოფელი საქართველოს ტერიტორიაზე

თბილისი	ქუთაისი	ზუგდიდი	გორი	ბათუმი	რუსთავი
31	5	1	1	3	1

წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი


17 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის (მთელი ბაზრის 40%) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის სააქციო საზოგადოება, დანარჩენებისა კი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

მიუხედავად იმისა, რომ წამყვანი ფირმების ფინანსური მონაცემები ხელმისაწვდომია მათი ვებ-გვერდებისა და მიქსმარკეტის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით, მთლიანი ბაზარი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ინფორმაციულად არაგამჭვირვალე. კომპანიების მხოლოდ 35% აწვდის საზოგადოებას ფინანსურ ინფორმაციას ინტერნეტით, სხვათა ინფორმაცია ფაქტიურად საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი.

საქართველოში პირველი მიკროსაფინანსო კომპანია „ქართული კრედიტი“ დაარსდა 2006 წელს. ამავე წლის ბოლოს რეგისტრირებულთა რიცხვში მხოლოდ სამი ფირმა ეწერებოდა. ბაზრის მოცულობა პირველ წელს იყო 2014721 ლარი⁹(მთლიანი სასესხო პორტფელი). 2007 წლის ბოლოს 15 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ინაწილებდა მთლიან სასესხო პორტფელს 56 443 564 ლარის მოცულობით. 2008 წლის მონაცემებით ბაზარზე 25 ფირმა ფიქსირდება 111 203 470 ლარის მთლიანი სასესხო პორტფელით. 2009 წელს ბაზრის მონაწილეთა რაოდენობა 12-ით გაიზარდა (128 189 799 ლარი). შემდეგ წელს 11 ახალი ფირმა შეუერთდა დარგს (227 192 070 ლარი), 2011 წელს ასევე 11 კომპანია, ხოლო მიმდინარე წელს 3 ახალი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გაიხსნა. 2011 წლის მეოთხე კვარტლის ბოლოსათვის მიკროსაფინანსო სექტორის მოცულობა (მთლიანი სასესხო პორტფელი) 348 667 604 ლარის ტოლი იყო.

⁹ საქართველოს ეროვნული ბანკი, არასაბანკო საფინანსო ზედამხედველობა 27.04.2020

დიაგრამა N 2.10 მისო-ების რაოდენობის ზრდის ტენდენცია




წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოში რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციებია: ქართული კრედიტი, ალფა ექსპრესი, მისო ინტელექსპრესი, რიკო ექსპრესი, კრისტალი, ფინაგრო, ლაზიკა კაპიტალი, კრედიტსერვისი+, მონეტა ექსპრეს ჯორჯია, თბილმიკროკრედიტი, გლობალ კრედიტი, იზიკრედ ჯორჯია, ჯორჯიან კაპიტალი, B კრედიტი, ინვესტ ჯორჯია, სმარტ ფინანსი, სვის კაპიტალი, ნოვა კრედიტი, ბანი კრედიტი, ლიდერ კრედიტი, ჯი აი სი, კრედიტორი, გირო კრედიტი, უნივერს კრედიტი, კონტინენტალ სიტი კრედიტი, კრედექსი, კაპიტალ ექსპრესი, მიკრო ბიზნეს კაპიტალი, PIAZZA CAPITAL, ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო, MJC, ევრო კრედიტი, ფინ კრედიტი, მაიკროფინი, ბერმელი, ცენტრალი, კროს კრედიტი, ლენდო, ექსპრეს კაპიტალ+, ფემილი კრედიტი, ლენდაფ, ქრიმ ფინანს ჯეორჯია.

ბაზრის ლიდერი კომპანიები არიან: კრისტალი, რიკო ექსპრესი, სვის კაპიტალი, მიკრო ბიზნეს კაპიტალი, ლაზიკა კაპიტალი, სმარტ ფინანსი, ლიდერ კრედიტი, ქართული კრედიტი, ევრო კრედიტი, მისო ინტელექსპრესი.

დიაგრამა N 2.11 მისო-ების რეიტინგი 2020 წლის I კვ.



წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი

უნდა აღინიშნოს, რომ მიკროსაფინანსო კომპანიები საქმიანობენ უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში ბანკებთან შედარებით. მათ არ აქვთ დეპოზიტების მიღების უფლება, ვინაიდან მათ ოპერაციული თვალსაზრისით დეპოზიტებით დაფინანსებული სახსრები ლიკვიდურობის პრობლემას შეუქმნით, თუმცა შეუძლიათ გამოუშვან საჯარო სესხები, ფასიანი ქაღალდები, აქციები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური წყაროების მოსაზიდად. მაღალი საპროცენტო განაკვეთი ბანკებთან შედარებით გამოწვეულია უფრო რისკიანი საქმიანობით: მიკროსაფინანსო კომპანიები ისეთ კლიენტებზე გაცემენ სესხებს და იმდენად მარტივი პროცედურებით, ვისაც ბანკი შესაძლოა სულაც არ მიცემდა სესხს, ან ბევრად მეტ პროცედურას მოსთხოვდა.

საქართველოს მიკროსაფინანსო ბაზრის ე.წ. ბენჩმარკი არიან კრისტალი და რიკო ექსპრესი. ინდუსტრიის ანალიზისას გამოვლინდა, რომ სხვა მისო-ებთან ერთად ისი ბაზარს ბიზნეს, სამომხმარებლო, სალომზარდე, აგრო, ოპოთეკურ და განვადების პროდუქტებს აწვდიან.

როგორც აღმოჩნდა, ბიზნეს სესხები მიკროსაფინანსო ბაზარზე მთავარ პროდუქტს წარმოადგენს. მის მომხმარებლებს წარმოადგენენ მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელები. წამყვანი მიკროსაფინანსო ფირმებისთვის მცირე და საშუალო მეწარმეთა დაფინანსება პრიორიტეტს წარმოადგენს, ვინაიდან ასეთი სესხების გაცემა უფრო მიზნობრივია, ხელს უწყობს სამეარმეო თუ მომსახურების სექტორის განვითარებას და ზრდის დასაქმებას. შესაბამისად ეს პრიორიტეტი ფინანსურადაც და სოციალურადაც უფრო გამართლებულია.

მიუხედავად იმისა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ბანკებთან შედარებით ფინანსური მომსახურების ნაკლები მრავალფეროვნება და მაღალი საპროცენტო განაკვეთები გააჩნიათ, ამ სექტორს მაინც ბევრი მომხმარებელი ყავს. პირველი მიზეზი ამისა არის ის, რომ მიკროდაფინანსება მცირე თანხების გაცემაზეა ორიენტირებული, იმ შემთხვევაში როდესაც საბანკო სესხის აღებას შეიძლება 1-2 კვირა დასჭირდეს, მიკროსაფინანსო ფირმებში ამას ერთი სამუშაო დღეც კი არ დაჭირდეს.

დილექტანტური ხედვით მიკროდაფინანსების ინდუსტრია საკმაოდ რისკიან სფეროდ შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა სესხის გაცემის პროცედურა მოიცავს სტანდარტიზებულ ფინანსურ ანალიზს, მსესხებლის საკრედიტო ისტორიის გათვალისწინებას, სხვადასხვა სახის გარანტიებს (მცირე თანხებზე თავდების მოთხოვნას, ხოლო შედარებით მაღალ თანხებზე - უზრუნველყოფაში უძრავი ქონების ჩადება).

სასესხო პორტფელის ხარისხს და ფინანსური საქმიანობის შეფასებას ახდენენ სხვადასხვა საბალანსო თუ ბალანსგარე კოეფიციენტებით (მიქსმარკეტის ფინანსური პერფორმანსის შეფასების კოეფიციენტები).

მიკროსაფინანსო ფირმები საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად იყენებენ ისეთ ინდიკატორებს, როგორცაა PAR30, PAR60 და PAR90 (Portfolio At Risk for 30, 60 and 90 days), რომელიც აღწერს ვადაგადაცილებაში მყოფ სესხებს, რაც ზრდის კრედიტ დეფოლტის ანუ ამ სესხის დაფარვის რისკს. რაც დაბალია ეს ინდიკატორები, მით უფრო კარგი ხარისხისაა მიკროსაფინანსო კომპანიის პორტფელი.

თუ მიკროსაფინანსო კომპანიის კლიენტი ვერ ფარავს სესხს, ხდება უზრუნველყოფაში ჩადებული აქტივის გაყიდვა სასამართლოს ძალით, თუმცა საქმის

აქამდე მიყვანა არცერთ ფირმას არ აწყობს, ვინაიდან ეს სხვადასხვა ხარჯებთან და დროში გაწეული პროცესებთანაა დაკავშირებული.

წლების მანძილზე სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დამფინანსებელი მიკროსაფინანსო სექტორი იყო. მათზე გაცემული სესხებით წლების განმავლობაში მისო-ები ლიდერობდნენ.

აღნიშნული ტენდენცია ამის შემდგომ შეიცვალა, რაც საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა კომერციული ბანკების მეშვეობით იაფი აგროკრედიტის პროგრამის სუბსიდირება. ის განაგრძობს განვითარებას და სულ უფრო მეტად ცდილობს მოერგოს მომხმარებებს და მათ მოთხოვნებს, იგი არაერთ სიახლეს შეთავაზებას პირდება ინვესტორებს.

დარგის ლიდერები გრძნობენ დიდ პასუხისმგებლობას დაკრედიტების მნიშვნელობისა და უფრთხილდებოდნენ სექტორისა და საკუთარ რეპუტაციასაც. დღესდღეობით, ორგანიზაციების მომხმარებლები არიან დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანები და მათი სოციალური მდგომარეობა არ აძლევთ შესაძლებლობას იყვნენ სწორად ინფორმირებულნი, კანონი მათი ინტერესებიდან გამომდინარე ითვალისწინებს სესხის გაცემის პირობებს და მსესხებლის და გამსესხებლის უფლებამოვალეობებს განსაზღვრავს. კერძოდ, მე-9 მუხლში გათვალისწინებულია შემდეგ პირობები:

- სესხის გაცემისას მისოსა და მსესხებელს შორის იდება საკრედიტო ხელშეკრულება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის:
- სესხი შეიძლება იყოს როგორც ჯგუფური ან ინდივიდუალური, ასევე უზრუნველყოფილი ან საბლანკო:
- მისო თვითონ ადგენს მიკროსესხის გაცემის წესებსა და პირობებს, გარდა ამისა საპროცენტო განაკვეთის ოდენობას, საკომისიო გასამრჯელოსა და მომსახურების გადასახდელს:
- მისოს შეუძლია განახორციელოს კონტროლი კრედიტის გამოყენების მიზნობრიობაზეც, ხოლო თავის მხრივ მსესხებელი ვალდებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უზრუნველყოს ასეთი კონტროლის

განხორციელების შესაძლებლობით. თუ მსესხებელი ვალდებულებას არ შეასრულებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას უფლება აქვს უარი თქვას კრედიტის გაცემის თაობაზე ხელშეკრულების შესრულებაზე გაუცემელი კრედიტის ნაწილში და მოითხოვოს კრედიტის გაცემული ნაწილის ვადამდე დაფარვა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი ითვალისწინებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამურ ოდენობასაც, რაც ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 100000 ლარს.

თავი III. საკრედიტო კავშირები

3.1 საკრედიტო კავშირების საქმიანობის მიმოხილვა და საკანონმდებლო რეგულირება

საკრედიტო კავშირების ისტორია დაკავშირებულია გერმანელ ეკონომისტ ფრანც ჰერმან შულცთან, 1852 წლისთვის. მან იმ დროისათვის ახალი საპილოტო პროექტი დაარსა გერმანიის ორ პატარა ქალაქში. რამდენიმე ათეულ წელიწადში საკრედიტო კავშირები სთავაზობდნენ მომხმარებლებს სესხის გაცემის და ანაზღაურების გამარტივებულ და მოქნილ პროცედურებს. ამან მთელი ევროპა მოიკვია და დიდი პოპულარობა მოიპოვა. დღეისათვის საკრედიტო კავშირები მძლავრი ფინანსურ დაწესებულებებია ასეულობით ათასი წევრებითა და დიდი მოცულობითი აქტივებით.

საკრედიტო კავშირი არის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება. იგი რეგისტრირებულია კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით და თავისი მომხმარებლებისაგან იღებს ანაზღაურებას და გასცემს მათზე სესხებს. საბოლოოდ რომ ვთქვათ ეს არის წევრებისგან (მეპაიეებისგან) შემდგარი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც იზიდავს დეპოზიტებს და გასცემს სესხებს მხოლოდ თავის წევრებზე. იგი არის არაკომერციული კომპანია, სწორედ იმიტომ რომ ის ორიენტირებულია თავისი წევრების მომსახურებაზე და არა კომერციული მოგებაზე.

საკრედიტო კავშირზე და კომერციულ ბანკზე ლიცენზიას გასცემს საქართველოს ეროვნული ბანკი, ორივე მათგანზე ვრცელდება თითქმის ყველა რეგულირება დადგენილი ფინანსური კოეფიციენტებისა და ლიმიტების სახით. მაგრამ საკრედიტო კავშირები ბანკებისგან განსხვავებით გაცილებით ლიბერალურნი არიან, რაც აისახება თავისი წევრების უფრო მოქნილ მომსახურებაში. ორივე მათგანს უფლება აქვს მოიზიდოს დეპოზიტები და გასცეს სესხები, თუმცა საკრედიტო კავშირს სესხების გაცემა და დეპოზიტების მოზიდვა მხოლოდ თავის წევრებზე შეუძლია (მეპაიეებზე).

განსხვავება ასევე ის არის, რომ საკრედიტო კავშირის წევრობა დაიშვება მხოლოდ ფიზიკურ პირისთვის. ბანკებისგან განსხვავებით, საკრედიტო კავშირის ძირითადი მიზანია თავიანთ წევრებზე ზრუნვა, მოქნილობა და გამჭირვალეობა, მოგების მიღება კი არ წარმოადგენს თვითმიზანს. მაშინ როდესაც ბანკი ორიენტირებულია

დამფუძნელების მომგებიანობაზე. მათი რაოდენობა ბანკის კლიენტებთან შედარებით მცირეა. საკრედიტო კავშირი კი ზრუნავს თვითოეული მისი წევრის მაქსიმალურ სარგებლეზე, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს აქციონერს, იქნება ეს მსესხებელი თუ მეანაზრე.

საკრედიტო კავშირის ძირითადი უპირატესობაა მის წევრებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი, ასევე ოპერაციების სიმარტივე, ანაზრის მიღებისა და სესხის გაცემის გამჭვირვალობა. მას ბანკისაგან განსხვავებით, გადაწყვეტილების მიღებაში თვითოეული წევრს მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს, კავშირის წევრებზე ორიენტირებულია ოჯახური გარემო შექმნა და კავშირის საერთო მიზნების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის მიღება. საკრედიტო კავშირი მის წევრებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს კავშირის მიერ განხორციელებულ საზოგადოებრივ საქმიანობაში, როგორც საქველმოქმედო პროგრამებში, ეკლესიების მშენებლობების ხელშეწყობა ასევე მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა. მეანაზრეს უფლება აქვს საკრედიტო კომიტეტში მიიღოს მონაწილეობა და ფლობდეს შიდა ინფორმაციას ფინანსური სტრუქტურის საქმიანობაზე.

საკრედიტო კავშირს არ გააჩნია კლიენტების მიმდინარე ანგარიშები. მისი წევრობა შეუძლია მხოლოდ ფიზიკურ პირებს განსხვავებით ბანკისგან.

საქართველოში საკრედიტო კავშირებს უფრო მცირე ისტორია გააჩნიათ ვიდრე კომერციულ ბანკებს. დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში ისინი წარმოჩენილები არიან უფრო სტაბილური ფინანსური დაწესებულებებად. სწორედ მათ აღმოაჩნდათ ფინანსური კრიზისისადმი უფრო მეტი მდგრადობა. ეს განპირობებულია ერთის მხრივ მაღალი ლიკვიდურობის, მეორეს მხრივ გაცილებით დიდი ფინანსური გამჭვირვალობის გამო. და ასევე წევრების საკრედიტო კავშირის საქმიანობაში მაღალი ჩართულობით.

თუ ამ ორ ინსტიტუტს შევადარებ ერთმანეთს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ის ფინანსურ ინსტიტუტებია რომლებზეც ეროვნული ბანკის რეგულირება უფრო ვრცელდება ვიდრე საკრედიტო კავშირებზე. მათ მიმართაც ეროვნულ ბანკს გააჩნია რეგულირების მკაცრი ნორმები ფინანსური კოეფიციენტებისა და ლიმიტების სახით. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს კანონით აკრძალული აქვთ

ერთ მსესხებელზე 100 000 ლარზე მეტი სესხის გაცემა, საკრედიტო კავშირებზე კი ასეთი შეზღუდვა არ არის.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს არ აქვთ შესაძლებლობა ანაზრებისა და დეპოზიტების მოზიდვის, საკრედიტო კავშირებს კი საქართველოს კანონით არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების შესახებ შეუძლიათ თავიანთი წევრებისგან დეპოზიტებისა და ანაზრების მიღება. ძირითად განხვავება ისაა, რომ საკრედიტო კავშირის დეპოზიტარიც და მსესხებელიც ამავდროულად არის საკრედიტო კავშირის წევრი. მათ შეუძლია კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

საკრედიტო კავშირო არასაბანკო საფინანსო ორგანიზაცია, რომელიც ორგანიზაციულად კოოპერატივის სამართლებრივი ფორმითაა რეგისტრირებული. ორგანიზაციას ანაზრების მიღება და სესხების გაცემა მხოლოდ თავის წევრებზე შეუძლია. მის მიზანს მოგების მიღება არ წარმოადგენს. საკრედიტო კავშირის მთავარ პრინციპებს წარმოადგენს წევრობის ნებაყოფლობითობა, ფიზიკურ პირთა საერთო ნიშნით გაერთიანება და მათი მონაწილეობა საკრედიტო კავშირის მართვაში. აგრეთვე ორგანიზაციის მიზანია წარმატებული ინვესტიციების განხორციელება. ფულად სახსრებს კი საკრედიტო კავშირში გაერთიანებული ფიზიკური პირების სავალდებულო შენატანებით(პაი) იღებს.

საკრედიტო კავშირის საქმიანობა იმართება საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს და გამგეობის მიერ. საკრედიტო კავშირის ხელმძღვანელ ორგანოთა წევრები უნდა იყვნენ საკრედიტო კავშირის წევრები, გარდა დაქირავებული აღმასრულებელი დირექტორისა.

საერთო კრება არის საკრედიტო კავშირის უმაღლესი ორგანო, ის იღებს გადაწყვეტილებებს საკრედიტო კავშირის საქმიანობაზე. საერთო კრება სავალდებულოა ჩატარდეს წელიწადში ერთხელ მაინც, რათა წლიური ბალანსი განიხილოს და დაამტკიცონ. საერთო კრებაზე განიხილება ისეთ მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა: წესდების დამტკიცება და ცვლილებების განხორციელება, სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობის წევრთა არჩევა-გადარჩევა, გამგეობის მიერ წარდგენილი საკრედიტო კავშირის საქმიანობის წლიური ანგარიშისა და მის თაობაზე სამეთვალყურეო საბჭოს დასკვნის დამტკიცება, საკრედიტო კავშირის შემოსავლების

გამოყენების, აგრეთვე ზარალის დაფარვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, საერთო რეზერვის შექმნა, მისი მოცულობის დადგენისა და გამოყენების პროცედურების განსაზღვრა, ფილიალების შექმნა, საკრედიტო კავშირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, საკრედიტო კავშირის უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისა და გამოუყენებელი სახსრების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. საერთო კრებაზე გადაწყვეტილება შეიძლება დამტკიცდეს თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 60% და საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში 40%.

საკრედიტო კავშირის საქმიანობა კონტროლდება სამეთვალყურეო საბჭო მიერ, რომელიც ანგარიშვალდებულია კრების წინაშე. იგი აირჩევა საერთო კრების მიერ ორი წლის ვადით და აუცილებელია მათი რაოდენობა იყოს კენტი (3-დან 15 წევრამდე). სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას აწარმოებს საკრედიტო კავშირის პოლიტიკაზე, შემოწმების მიზნით უფლება აქვს მოიწვიოს აუდიტი, ასევე არაეფექტური მუშაობის ან რისკისგან თავის აცილებისათვის შეუძლია ჩაატაროს საგანგებო კრება და არაპასუხისმგებლიანი გამგეობის ან საბჭოს წევრს შეუჩეროს უფლებამოსილება. ყველა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭო იღებს ხმათა უმრავლესობით.

საერთო კრება გამგეობას ირჩევს ორი წლის ვადით. მათი რაოდენობა აუცილებელია კენტი იყოს (3-დან 9 წევრამდე). გამგეობას ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი. გამგეობის კომპეტენციაში შედის საკრედიტო კომიტეტის არჩევა, საკრედიტო კავშირის პოლიტიკის განსაზღვრა, აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა-გათავისუფლება, საკრედიტო კავშირის წევრთათვის გასაწევი მომსახურების, მათ შორის, ანაბრების მიღების პირობებისა და წესების განსაზღვრა, დაუბრუნებელი სესხების ჩამოწერის დამტკიცება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის თანახმად, სარეზერვო სახსრების გამოყენება ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით, წლიური ანგარიშის შედგენა და მისი საერთო კრებისათვის განსახილველად წარდგენა.

საკრედიტო კომიტეტი არის გამგეობის მიერ შექმნილი ორგანო რომელიც მის წინაშეა ანგარიშვალდებული. იგი არჩევა ორი წლის ვადით. პირველ რიგში ის პასუხისმგებელია საკრედიტო საქმიანობაზე. კომიტეტი შედგება არანაკლებ 3

წევრისაგან და მათი უფლება-მოვალეობანი განსაზღვრულია წესდებით. საკრედიტო კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება: საკრედიტო კავშირის წევრთა განცხადებების განხილვა სესხის გამოყოფის თაობაზე და გადაწყვეტილებების მიღება, საკრედიტო პორტფელის პერიოდული კონტროლი და განხილვა, ყველა სახის უზრუნველყოფის შეფასება, ნებისმიერ სესხთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება, სესხის ამოღების მიზნით ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, სესხების კლასიფიკაცია და მათი შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად და სესხის დაბრუნების კონტროლი.

საკრედიტო კომიტეტის წევრობა არაა ნებადართული საკრედიტო კავშირის გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის, ასევე სხვა ნებისმიერი დაქირავებულ პირისათვის საკრედიტო კავშირში. საკრედიტო კომიტეტის სხდომის ჩატარება აუცილებელია თვეში ერთხელ. განხილული საკითხებს ისინი ოქმის სახით გამოსცემენ რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გამგეობას გადასცემენ.

ეროვნული ბანკის მიერ მიღებული დადგენილებით საკრედიტო კავშირი ვალდებულია ყოველწლიურად გარე აუდიტორის საშუალებით ჩაატაროს აუდიტორული შემოწმება კომპანიაში. ასევე საჭიროა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების წარმოება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წესების მიხედვით.

საკრედიტო კავშირის, სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობის წევრს არ აქვს უფლება იყოს სხვა საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს ან გამგეობის წევრი. ამასთან, მათ არ შეუძლიათ საკრედიტო კავშირის გამგეობის წევრობა, თუ მათი მონაწილეობით ზიანი მიადგა რომელიმე საკრედიტო ინსტიტუტს, ასევე სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ბოროტად გამოიყენა უფლებამოსილება, წარსულში საკრედიტო კომპანიის მართვისას კომპანია გახდა გადახდისუუნარო, ან კომპანიის ჭინაშე არსებული ვალდებულებები არ შეასრულა.

საკრედიტო კავშირის მიღებული ანაბრები მისი ფულადი სახსრების ფორმირების მთავარი წყაროა. თუმცა მათ მხოლოდ თავისი წევრებისაგან იღებს. ანაბარი შეიძლება იყოს მოთხოვნამდე ან ვადიანი. საკრედიტო კავშირმა სესხის მიმღებისაგან შეიძლება მოითხოვოს ანაბრის დაგირავება ან მისი ბლოკირება გაცემული სესხის

უზრუნველყოფის მიზნით. საკრედიტო კავშირმა ნებისმიერ დროს შეიძლება განახორციელოს სესხის მიმღების მიმართ მისი ანაზრისა და ვადაგადაცილებული სესხის ურთიერთგაქვითვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

ანაზრის გატანა ხდება ხელშეკრულების შესაბამისად. ანაზრის მთლიანად ან ნაწილობრივ გატანაზე საკრედიტო კავშირის წევრებს შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს მათი ვალდებულება საკრედიტო კავშირის მიმართ სესხის, თავდებობის ან სხვა სახით ამ ვალდებულების ფარგლებში.

საკრედიტო კავშირს სესხის გაცემის უფლება აქვს მხოლოდ თავის წევრებზე როგორც ეროვნული ბანკის მიერ მიღებული დადგენილებითაა გათვალისწინებული. სესხი ტიპი, მისი ვადა და პირობები საკრედიტო კომიტეტის მიერაა განსაზღვრული. სესხი შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი ან არაუზრუნველყოფილი. უზრუნველყოფის საშუალებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს წევრის პაი, ანაზარი, უძრავი ან მოძრავი ქონება, სხვა გადახდისუნარიანი პირის თავდებობა ან საბანკო გარანტია. გამგეობის, სამეთვალყურეო საბჭოსა და საკრედიტო კომიტეტის წევრს არა აქვს უფლება, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაუდგეს თავდებად ან გასცეს გარანტია საკრედიტო კავშირის მიერ გაცემულ რომელიმე სესხზე.

საკრედიტო კავშირის წევრების ანაზრებისა და სესხების შესახებ ინფორმაცია გარეშე პირებისათვის კონფიდენციალურია. ინფორმაციის გასაჯაროება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით ან საკრედიტო კავშირის წევრის წერილობითი თანხმობითაა შესაძლებელი.

საკრედიტო კავშირს შეუძლია ჭარბი ლიკვიდურობის გათვალისწინებით განახორციელოს ინვესტიციები: სახაზინო ვალდებულებებში, კომერციულ ბანკებში მოკლევადიანი დეპოზიტების სახით, სხვა საკრედიტო კავშირებზე მოკლევადიანი სესხების გაცემით და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაშვებული სხვა სახის ინვესტიციები.

საკრედიტო კავშირი ვალდებულია შექმნას საერთო რეზერვი. საერთო რეზერვი იქმნება წლიური მოგებიდან ანარიცხებით, რომლის ოდენობა არ უნდა იყოს გასანაწილებელი მოგების 90% ნაკლები. საერთო რეზერვი პირველ რიგში გამოიყენება

საკრედიტო კავშირის ზარალის დასაფარავად. ეროვნული ბანკი საკრედიტო კავშირს გარდა საერთო რეზერვებისა ავალდებულებს შექმნას აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვიც, რომელიც არ იქნება საერთო რეზერვის ნაწილი.

საკრედიტო კავშირის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის, დამატებითი ფულადი შესატანების, ფულადი შემოწირულობების, ამ კანონით გათვალისწინებული საერთო რეზერვის და გასული წლის გაუნაწილებელი მოგებისა და სამეურნეო წლის მოგებისაგან.

საწესდებო კაპიტალი იქმნება საკრედიტო კავშირის წევრების მიერ პაის შეტანით. პაის მინიმალური ოდენობა, ასევე მისი შეტანის წესი განისაზღვრება საკრედიტო კავშირების შესახებ კანონით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და წესდებით. პაის შეიძლება დაერიცხოს დივიდენდები.

საკრედიტო კავშირი ლიცენზიის მისაღებად განცხადებით მიმართავს საქართველოს ეროვნულ ბანკს. ლიცენზია გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.

საკრედიტო კავშირების საქმიანობაზე ზედამხედველობის მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი გამოსცემს შემდეგ ნორმატიულ აქტებს:

ა) ფულადი ფორმით განაღდებული საწესდებო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნისა და საკრედიტო კავშირის წევრთა მინიმალური ოდენობის შესახებ (ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით);

ბ) კაპიტალის კოეფიციენტის ადეკვატურობის შესახებ;

გ) რისკის დონეების შესახებ;

დ) აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ფორმირების წესის შესახებ და სხვა ლიმიტებისა და ნორმატივების შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბანკი პერიოდულად ამოწმებს საკრედიტო კავშირებს (დოკუმენტური შემოწმებისა და ადგილზე ინსპექტირების ჩათვლით) მათი ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად, აგრეთვე საკრედიტო კავშირების საქმიანობის კანონთან და ბანკის ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დასადგენად. საზედამხედველო ფუნქციის განხორციელების შედეგად გამოვლენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და საკრედიტო კავშირების ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების

მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი ატარებს მაკორექტირებელ ღონისძიებებს, დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და ლიცენზიის გაუქმების ჩათვლით.

3.2 საკრედიტო კავშირები საქართველოში

საკრედიტო კავშირის დანერგვას საქართველოში ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე ცდილობდა. თუმცა მაშინ საკრედიტო კავშირების განვითარება არასწორმა მენეჯმენტმა და წამოსწრებულმა კომუნისტურმა რეჟიმმა დაასამარა. საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასულმა რეალობამ დღის წესრიგში კვლავ დააყენა ამ მიკროსაფინანსო ინსტიტუტის შემოღების საჭიროება. საკრედიტო კავშირები, უპირველესად, სოფლის შეჭირვებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კალთასმოწყვეტილი გლეხობის დამხმარე ძალად მოიაზრებოდა.

საქართველო აგრარული ქვეყანაა და მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლად ცხოვრობს. იმ ტრანსფორმაციის შემდეგ, რაც საბჭოთა სისტემის დაშლას მოჰყვა, ამ ხალხის წინაშე ფინანსური წყაროს ხელმიუწვდომლობის პრობლემა დადგა. საკრედიტო კავშირი არის სტრუქტურა, რომელსაც სოფელში გლეხები თავად აყალიბებენ. იმ რაიონებში, სადაც საკრედიტო კავშირები მუშაობენ, მეტი შესაძლებლობებია: გლეხს ხელი მიუწვდება სესხზე, გირავნობა გამარტივებულია, აგრეთვე მუშაობს სქემები, როგორცაა მომავალი მოსავლის დაგირავება, რაც ბანკებისათვის ნაკლებად მიმზიდველია.

საქართველოში საკრედიტო კავშირები მაშინ დაარსდა, როდესაც გლეხების (ფერმერების) უმეტეს ნაწილს არ ჰქონდა ხვნის, თესვის, სამეურნეო საქმიანობის დაწყების, ტექნიკის შეძენის საშუალება. მკვეთრად იგრძნობოდა საბრუნავი საშუალებების, განსაკუთრებით ფულის დეფიციტი. ამ კუთხით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და ასრულებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიურმა ურთიერთობამ. როგორც მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, ადგილობრივი დანაზოგების გამოყენება, აგრეთვე დახმარების მიღება გაცილებით ადვილი და ეფექტურია, თუ იგი

მიმართულია არა ცალკეული კერძო პირების, არამედ იურიდიული, კოლექტიური პირებისკენ. ასეთ იურიდიულ კოლექტიურ პირად კი მთელს მსოფლიოში საკრედიტო კავშირები გვევლინება.

საქართველოში საკრედიტო კავშირების დანერგვას რამდენიმე ორგანიზაცია ახორციელებდა. 1995 წელს, მსოფლიო ბანკმა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდმა საქართველოში მცირე ფერმერთა სამეურნეო საქმიანობის დასაფინანსებლად და საკრედიტო კავშირების შესაქმნელად 6,5 მილიონი ამერიკული დოლარი გამოყო. პროექტის ფარგლებში საქართველოში შეიქმნა საკრედიტო კავშირების განვითარების ცენტრი, დაარსდა 150 სასოფლო-საკრედიტო კავშირი. 1995 წლიდან საკრედიტო კავშირებმა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებიდან ლტოლვილებისათვის დაიწყეს ფუნქციონირება. აქ პირველი საკრედიტო კავშირი სწორედ მსოფლიო ბანკის პროექტით 1995 წელს სოფელ კავთისხევში დაარსდა. მათმა რიცხვმა მალე 200-ს მიაღწია. ამ დროისათვის საკრედიტო კავშირებში გაწევრიანებული იყო 10850 ფერმერი. თუმცა უცხოელი ექსპერტები არცთუ წარმატებულად მიიჩნევდნენ მათ მოღვაწეობას. საკრედიტო კავშირების ხელმძღვანელების უმეტესობამ იმ დროისთვის, ფერმერთა დახმარების ნაცვლად, თვითონ მიჰყვეს ხელი „ბიზნესმენობას“ და რბილად რომ ვთქვათ, არამიზნობრივად მოიხმარეს ფინანსები.

1998 წელს არნახული გვალვის გამო კრედიტების სრულად დაბრუნება შეფერხდა. 2003 წლიდან კი მასიურად დაუბრუნებლობის გამო საერთაშორისო ფინანსური რესურსების მიწოდება მსოფლიო ბანკისა და საფრანგეთის მთავრობის მიერ მაქსიმალურად შემცირდა. სესხის გადაუხდელობასთან ერთად, მათი შემცირება იმან განაპირობა, რომ პროექტი 5 წელზე იყო გათვლილი და მან თავისი თავი ამოწურა.

ამ მცდელობებმა შემდგომში ბიძგი მისცა და ხელი შეუწყო საქართველოში ჩამოყალიბებულიყო დამოუკიდებელი საკრედიტო კავშირები, რომლებიც განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფებიან, მაგრამ სწორი და მიზანმიმართული მუშაობის შემთხვევაში, მათ შესაძლებლობა აქვთ უდიდესი როლი ითამაშონ ქვეყნის ეკონომიკის, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის განვითარებაში, რაც ესოდენ მნიშვნელოვანი და აუცილებელია ჩვენი ქვეყნისათვის.

საკრედიტო კავშირი არა მარტო მოზიდული რესურსია, არამედ მისი მთავარი იდეაა, რომ თვითონ ხალხმა დაზოგოს ფული. შექმნან ურთიერთდახმარების და საკრედიტო ფონდი, საპაიო კაპიტალი და შემდეგ დამატებით მიიღონ სხვა ფულადი რესურსი. თუმცა მსოფლიო პრაქტიკაში არის ფაქტები, როდესაც სახელმწიფოს ხელშეწყობით ზოგჯერ საკრედიტო კავშირები და ასოციაციები მსხვილ საფინანსო ინსტიტუტად ყალიბდება. აღსანიშნავია, რომ 2005 წელს ლიტვამ 2 მლნ ევროს უპროცენტო სესხი ჩადო საკრედიტო კავშირების წარმატებულად განვითარებისათვის. სასურველია, რომ საქართველოს მთავრობამაც გამოყოს ფინანსური სახსრები განვითარების ეტაპზე მყოფ საკრედიტო კავშირების სექტორზე და მიცეს ბიძგი ამ დარგის წინსვლას მისი განსაკუთრებული რეგიონული მნიშვნელობიდან გამომდინარე.

2002 წელს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების-საკრედიტო კავშირების შესახებ. კანონის მომზადების საკითხში ჩართულნი იყვნენ საერთაშორისო ექსპერტები და ეროვნული ბანკი. ეროვნულ ბანკში შეიქმნა დეპარტამენტი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს არასაბანკო ორგანიზაციათა საქმიანობას. საკრედიტო კავშირები ამ საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ასე რომ ქვეყანას უკვე აქვს იურიდიული და სამართლებრივი საფუძველი საკრედიტო კავშირების საქმიანობის განხორციელებისათვის რაც დარგისათვის ორგანიზაციული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია.

დღეისათვის საქართველოში არსებული საკრედიტო კავშირებიდან ყველაზე ძველი არის „ჯი ეი კაპიტალი“. იგი დარეგისტრირებულ იქნა 2002 წლის ბოლოს, სამცხე-ჯავახეთში, ქალაქ ასპინძაში. 2003 წელს მას დაემატა 8 ახალი საკრედიტო კავშირი, რომლებიც მდებარეობენ გურიაში, იმერეთსა და აჭარაში. 2005-2006 წლებში 37 საკრედიტო კავშირი ფუნქციონირებდა, 2007 წლის მდგომარეობით საქართველოში მოქმედებდა 20 საკრედიტო კავშირი.

აღსანიშნავია, რომ ბოლო სამ წელიწადში საკრედიტო კავშირების რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ისინი ვერ პასუხობდნენ იმ მოთხოვნებს, რომელსაც აყენებს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი საკრედიტო კავშირების შესახებ.

2011 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით საკრედიტო კავშირების მთლიანი დეპოზიტები (რაოდენობა 641) 2 064 685 ლარს შეადგენდა, ხოლო გაცემული მთლიანი სესხები 2 704 864 ლარს.¹⁰

დღესდღეობით არსებობს 18 საკრედიტო კავშირი, რომელებიც ძირითადად მდებარეობენ რაიონებში, სოფლებსა და დაბებში. მათ გააჩნიათ რეგისტრირებული კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. თბილისში ხუთი საკრედიტო კავშირია: „საწმისი“, „უნივერსი“, „საქართველოს საკრედიტო კავშირი“, საკრედიტო კავშირი „ეთიკკაპიტალი“ და „პირველი საკრედიტო კავშირი“, რომელიც ერთ-ერთი მოწინავე საკრედიტო კავშირია საქართველოში. რაც შეეხება დანარჩენ 13 საკრედიტო კავშირს ისინი მდებარეობენ: მესტიაში, ასპინძაში, ხელვაჩაურში, ზესატაფონში, ქობულეთში, ხონში, ოზურგეთში, თერჯოლაში და ზუგდიდში.

რეგიონებში მოქმედი საკრედიტო კავშირებია: საკრედიტო კავშირი „ჯი ეი კაპიტალი“, საკრედიტო კავშირი მეორე სვრი, მეჯინისწყალის საკრედიტო კავშირი, კვალითის საკრედიტო კავშირი, საკრედიტო კავშირი ხუცუბანი, მათხოჯის საკრედიტო კავშირი, სოფელ მერიის საკრედიტო კავშირი, ჭოგნარის საკრედიტო კავშირი, ლიხაურის საკრედიტო კავშირი, საკრედიტო კავშირი „ჯიხა“, საკრედიტო კავშირი მამონა, საკრედიტო კავშირი „თანადგომა“, საკრედიტო კავშირი „განთიადი“.

10 საქართველოს ეროვნული ბანკი, არასაბანკო ზედამხედველობა. 27.24.2020

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია არასაბანკო-საფინანსო სექტორის ძირითადი საქმიანობები. დახასიათებულია საქართველოს საკრედიტო სექტორის მონაწილეები - კომერციული ბანკები, საკრედიტო კავშირები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. აღნიშნული იყო მათ საქმიანობაში საქართველოს ეროვნული ბანკის როლი, როგორც სამართლებრივი ჩარჩოს შემქმნელი ინსტიტუტის.

მიკროსაფინანსო სექტორის საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, მათი ოპტიმიზაცია რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისათვის. ამიტომ ეროვნული ბანკი შესაბამისი რეგულაციებით ცდილობს შექმნას ისეთი სამართლებრივი ბაზა, რომელიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობას სრულყოფს. ამისათვის განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ყოველთვის სექტორთან კონსულტაციებით მიმდინარეობდა და მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენაა მიმართლი. სექტორის კვლევამ გვანახა, რომ ბაზარი ბევრმა კომპანიამ დატოვა და ეს პირველ რიგში მომხმარებელზე არაორიენტირებული მომსახურების შედეგი იყო.

საკრედიტო კავშირების საქმიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო დარგისათვის. ნაშრომში ვხედავთ, რომ საკრედიტო კავშირის შექმნა არამარტო წევრებისაგან დეპოზიტების, არამედ რეალური საერთო მიზნების მისაღწევად იქნმნება. თუმცა ისიც გამოჩნდა, რომ საქართველოში ამ ორგანიზაციების ფუნქციონირება არაპოპულარული და სუსტია. ამას დაემატება ისიც, რომ ეროვნული ბანკის რეგულაციებმა მათი რიცხვი მკვეთრად შეამცირა, რაც ძირითად შემთხვევებში საკრედიტო კავშირის წერილობითი განცხადების საფუძველზე მოხდა.

სამაგისტრო ნაშრომში განხილული არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ ეს სფერო მეტწილად განვითარებულია საქართველოში. მიკროსაფინანსო ბაზარი სტაბილურად ვითარდება და მომხმარებლის მოთხოვნილებებზე მორგებული ხდება ისე, რომ მას ფინანსური სირთულეები არ წარმოექმნას. ეს ყოველივე ეროვნული ბანკის დამსახურებაა, რომელმაც ამ მიმართლებით 2018 წლიდან ძირეული ცვლილებები დაიწყო, რათა უზრუნველყო რისკების სისიტემური მინიმიზაცია. ასეთი

რეგულაციები კი აუცილებელია ეკონომიკის გრძელვადიანი და მდგრადი განვითარებისათვის.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 50%-ამდე შემცირებამ, ყოველწლიურმა აუდიტორულმა შემოწმებამ და სხვა გამკაცრებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა საფინანსო ბაზარზე მხოლოდ ის კომპანიები დატოვა, რომელთაც შეძლეს მომხმარებელთა ინტერესებს მორგებოდნენ და საკუთარი რეპუტაცია დაეცვათ.

ეროვნული ბანკი აგრძელებს ფინანსური სტაბილურობის დაცვასა და ქვეყნის მდგრად განვითარებაზე ზრუნვას, თუმცა შესაძლებელია ითქვას, რომ აუცილებელია არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების რეგულირების სახითხის კიდევ უფრო დახვეწა და გრძელვადიან პერსპექტივებზე ფოკუსირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკის 2019 წლის ანგარიში.
<http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136469/1-6037?fbclid=IwAR2queP-ELdE6zIxDcZXXvzRS5gzP7Ac5V3atiicbq8Hw6zXjx7p9leq8vM>
2. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე - არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების-საკრედიტო კავშირების შესახებ.(2002)
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1894?publication=12#!>
3. საქართველოს ეროვნული ბანკი, არასაბანკო ზედამხედველობა.
<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=400&fbclid=IwAR3cYXE7tZUh5sUgHetEpdftyfcIi9oWS3NeUx1w5KEGehpFO0WhfqdsVw>
4. საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოში რეგისტრირებული არასაბანკო დაწესებულებების ჩამონათვალი და კოორდინატები.
https://www.nbg.gov.ge/index.php?m=529&fbclid=IwAR1AJ9PMq-JOUF5V9Jp8pcv_MSjh41x2KgFD74Ro8OsrOMMutuesNce3M6w
5. საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ. (2006)
https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/update_kanonebi/miso.pdf
6. საქართველოს კანონი არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების - საკრედიტო კავშირების შესახებ. (2002)
https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/update_kanonebi/sakredito.pdf
7. ტყეშელაშვილი შ., „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეიტინგი“, თბილისი, 5 ივნისი, 2020. <https://bm.ge/ka/article/mikrosafinanso-organizaciebis-reitingi/57898>
8. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ. თავი IV, მუხლი 20. (2019)
9. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. (2014). თანამედროვე საბანკო საქმე - თეორია და პრაქტიკა, გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი.
10. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., (2009) „საქართველოს საბანკო სისტემის ზოგიერთი პრობლემა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე“, „საქართველოს ეკონომიკა, N 1 თბილისი

11. კონტრიძე გ., (2006) „საქართველოს საბანკო სისტემა და მისი განვითარების ტენდენციები“, „ბანკები და ფინანსები“, N 129, თბილისი.
12. ღუდუშაური ლ., (2007) კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი, თბილისი.
13. ცაავა გ., (2005) საბანკო საქმე, გამომცემლობა „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია“, თბილისი.